# სახალხო გაზეთი

№ 814 სამშაბათი, 5 თებერვალი 1913 წ. № 814

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

---

**სახალხო გაზეთი** ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

**მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.**

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

**პრემიად** 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.

2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

**გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

**ადრესის გამოსაცვლელი ფასი** ტფილისიდან ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთიდან ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) **,,სახალხო გაზეთი''-ს კანტორაში,** (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,**

3) **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

---

## ახალი კლუბი

სამშაბათს, 5 თებერვალს 1913 წელს.

## მასკარადი

დანიშნულია ოთხი ჯილდო: 1) საუკეთესო ტანისამოსისათვის, 2) ორიგინალურ ტანისამოსისთვის, 3) მახვილობისათვის, 4) საუკეთესო ცეკვისათვის, სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელად: კაცები 1 მ. სტუდენტები 25 კ. მანდილოსნები, რომელნიც იქნებიან უმასკოთ ღამის პირველ საათამდე, იხდიან ჯარიმას თითო მანეთს,

მასკარადი საღამოს 10 საათზე დაიწყება. 1017.

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან **ანდრონიკაშვილის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლოს.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.**

წლიური ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მაღალაშვილი ნ. ნ.** ([illegible] და შაბათობით) 10—12. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. მ.** ([illegible] გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—12. |
| | **ფურცელაძე ტ. შ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| | **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½ 12½. |
| ქალთა და ბავშვთა სნეულებანი. | **ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირანდოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **თოკანიძე ი. გ.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ხუციშვილი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. მ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვიულ. და ელექტ. | **ბედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურის, ყელის და ცხვ. | **თუმანიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½. |
| | **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კანის და ვენ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ.-Wassermann. რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606 '' 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი პირობებით. წ. 1035

---

გამოსულია და იყიდება

**ნ. შიუკაშვილის**

პიესა **,,მემოგრობა'',** დრამა 4 მოქმედებ.

ფასი 30 კაპ.

---

# ტფილისის სავაჭრო ბანკის

## დამაარსებელთა

## საორგანიზაციო კომიტეტი

ამით უწყებს, რომ, ბანკის წესდების მე-5 § თანახმად,

ბანკის მოქმედების დაწყებისათვის აქციების ღირებულების ნახევარის შესავსები

**40% გადასახადი, რომელიც 100 მან. უდრის,**

მიიღება **სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორაში,**

რომელიც ჩაიწერება საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიშთა

განსაკუთრებულ ნომრით-30079,

**თებერვლის 11—20-დე.**

სახელმწიფო ბანკის კანტორაში 40% გარდასახადით შეტანის დროს, უნდა წარადგინოს აგრეთვე დროებითი ბარათი 10% გადახდისა და შემდეგ 40% დამატებით შეტანილ გარდახდის კვიტანციასთან ერთად უნდა წარადგინოთ საორგანიზაციო კომიტეტის კანცელარიაში, რათა სათანადო წარწერა გაუკეთონ, დროებითი მოწმობის მიცემამდე.

სხვა ქალაქების აქციონერებს შეუძლიანთ ეს შემოსატანი ფული ფოსტით გადმოსცენ პირდაპირ სახელმწიფო ბანკის კანტორას საორგანიზაციო კომიტეტის მიმდინარე ანგარიშებში ჩასარიცხად 30079 ნომრით, ან კომიტეტის თავმჯდომარის

**არკადი ნაზარის ძე მილოვის**

სახელობაზე, ხოლო 10% შემოტანის დროებითი კვიტანციებიც ამასთანავე უნდა გამოგზავნონ საორგანიზაციო კომიტეტის სათანადო წარწერის მოსახდენად.

საორგანიზაციო კომიტეტის კანცელარია იმყოფება: ბებუთოვის ქ. № 50. სახლი ტფილისის ვაჭართა საზოგადოებისა. 1046

---

**ტელეფ. № 795. ქართული თეატრი** წარმოდ. № 48.

## კოტე ს. მესხის ბენეფისი.

**ხუთშაბ., 7 თებერვალს,** ქართ. დრამ. საზ. დას. მიერ **დამსახურებულ მსახიობის კ. ს. მესხის საბენეფისოდ** წარმოდგენ. იქნება **ვას. აბაშიძის** მონაწილეობით განთქმული პიესა ვ. სარდუსი

## მადამ სანჟენი, 

4 მოქმ. თარგ. კ. მესხისა.

იმპერატორ ნაპოლეონის როლს შეასრულებს **კ. მესხი.**

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ბერიშვილი, გოგოლაშვილი, თოიძე, კარგარეთელი, ქიქოძე, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, აბუშელი, ალექსიძე. ბერიშვილი, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, ყვიძე, სარაული ციციშვილი, შალიკაშვილი, შ ნ შიაშვილი

**დასაწყ. სწორედ სად. 8 ს.** ადგილების ფასი საბენეფისოა.

1040 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** ქართ. დრ. საზ. ადმინისტრ.

---

## სამუსიკო სკოლა

**ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოებისა**

(ყორღანოვის ქუჩა, რჩეულიშვილის სახლი № 6.)

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელის, კონტრაბასის, სიმღერა (solo,—ხმის დაყენება და გავარჯიშება და აგრეთვე ოპერების შესწავლა და სცენისათვის მომზადება) ელემენტარული თეორია, ჰარმონია, ენციკლოპედია, ნოტების კითხვა (solfegio) და ხოროს კლასებში მოხდება 2 იანვრიდამ ყოველდღე (კვირა უქმეების გარდა) დილის 11-დამ 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათ. ახლად მოწვეულია სიმღერა „სოლოს" მასწავლებლად, მოსკოვის კონსერვატორიის თავისუფალი ხელოვანი, **ს. ნ. სოლოვიოვა—სტრახოვისა.**

სწავლის ფასი: ფორტ. პიან., ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 65 მანეთი წელიწადში. სიმღერა (solo) და სკრიპკა, 75 მან. წელიწ. თეორეტიული კლასსები 15 მან. წელიწადში. სწავლის ფასი გადახდებათ წინდაწინ ნახევარი წლისა.

**სწავლა დაიწყო 7 იანვრიდან.** 1676.

---

**სალიტერატურო კრებულის**

## „გრდემლის"

**მესამე წიგნის გამოცემა**

განზრახულია ამ წლის პირველ ნახევარში. ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭოს განზრახული აქვს, რამდენადაც სახსარი ნებას მისცემს, თანამშრომლებს ჰონორარი მისცეს. მესამე წიგნი შემდგარი იქნება ორი ნაწილისაგან ისე, როგორც გრდემლის პირველი წიგნი. მასალას კრებულისთვის მიიღებს საზოგადოების თავმჯდომარე გ. რცხილაძე. ადრესი: ოლგას შესახვევი № 5. 1016.

---

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). ტელეფ. 7—78. 847

---

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღებ. რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1122

---

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი, ორდინატორად ნამყოფი** კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს 5—6 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12.

**იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 67

---

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. 6½ საათ. კახეთის ქ. № 6.

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მთაწმინდის ქუჩა № 3. ს. გარაშვილისა.

---

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაჭარაშვილისა

---

**ექიმი ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

---

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდ ბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ.** ქ. № 94 კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

---

## სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშა პეტერ. სააგენტოს).

**1 თებერვლის სხდომა.**

**როძიანკო** თავმჯდომარეობს. განსახილველ საქმეთა სიაში ორი საკანონმდებლო მოსაზრებაა: საქალაქო მართვა გამგეობის შემოღება ახაბადში და საყოველთაო საარჩევნო უფლება. სათათბიროში განცხადება შეიტანეს რომანოვთა საგვარეულოს 300 წლის დღესასწაულის აღსანიშნავად დაარსდეს საგანგებო კომისია. სათათბირო იხილავს ფინანსთა მინისტრის მიერ შეტანილ კანონ-პროექტს. მინისტრი ითხოვს, რომ ამ დღესასწაულის მოსაწყობად ხაზინამ 4.849.990 მან. გადასდოს. ამის წინააღმდეგ ილაპარაკეს: სოც.-დემ. სახელით **მუხანოვმა** და შრომის ჯგუფელების სახელით **ძიუბინსკიმ.**

**თავმჯდომარემ** პირველს წესიერება მოაგონა, მეორეს კი სიტყვა აუკრძალა.

სათათბირომ მიიღო კანონ-პროექტი, რომელიც ღირსება აყრილთ ღირსებისა და უფლების აღდგენის შემდეგ ნებას აძლევს კვლავ შევიდნენ სახელმწიფო სამსახურში. კომისიის მომხსენებელი იყო **ბენიგსენი.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს: **როძევიჩმა, ზამისლოვსკიმ, ლაშკევიჩმა, გელოვანმა** და იუსტიციის სამინისტროს უფროსმა იურისკონსულტმა **ტრეგუბოვმა.**

კანონ-პროექტს შესწორებანი შეაქვს არსებულ და მოქმედ კანონთ-დებლობაში. კანონ-პროექტის თანახმად მცირეწლოვან დამნაშავეთ უბრუნდებათ ჩამორთმეული უფლება და ღირსება სასჯელის მოხდის ათი წლის შემდეგ. კატორღა მისჯილთა და გამასწორებელ რაზმში გაგზავნილთა ღირსების აღდგენათ 10 წლის შემდეგ შეიძლება, ციხეში დატუსაღებულთათვის ხუთი წელი. ვადის შემცირება შეიძლება იმ შემთხვევაში თუ ყოფა-ქცევა დამნაშავეებისა კარგი იქნება.

სათათბირომ მიიღო რამდენიმე კანონ-პროექტი და გადავიდა სახალხო განათლების მინისტრის განმარტების განხილვაზე.

**ლევაშოვი** მემარცხენე ორატორებს გატაცებას უსაყვედურებს: ბავშვებს ახალგზის საძიებლად მოუწოდებთ მაშინ, როდესაც მათი საქმე სწავლაა. აი ესაა წყარო თავის მოკვლისა და სასოწარკვეთილებისა. მემარჯვენენი აღიარებენ, რომ საშუალო სასწავლებელი ძირითად რეფორმას ჰსაჭიროებს. რეფორმას ყოველმხრივი განხილვა უნდა და სპეციალისტების მიერ განხორციელება და არა ბავშვების ხელით. სასკოლო ორგანიზაციების მიერ დაარსებული მოწაფეთა წრეები საპოლიტიკო ხასიათისანი არიანო. რევოლიუცია ცდილობს პროპაგანდა გასწიოს სკოლაში, სარგებლობს ბავშვებით, როგორც მასალით. რევოლიუციონერები სკოლის გარყვნით დაღუპვას უქადიან სახელმწიფოს. მთავრობას სასტიკი ზომები უნდა მიიღოს, რათა ბავშვები რევოლიუციონერებისაგან დაიფარნა. მემარჯვენენი ნაციონალისტების მორიგ საკითხზე გადასასვლელ ფორმულას მიემხრობიან.

**ჩხეიძე.** კოკოვცევმა თვის დეკლარაციით ვერ გამოარკვია: არის თუ არა რუსეთში კონსტიტუცია; მაგრამ მოვიდა სახალხო განათლების მინისტრი და გასცა პასუხი ყველა კითხვას, რომელიც სათათბირომ კოკოვცევს დაუყენა; რუსეთში მშვიდობიანობა არ არის, კრამოლა ყველგან შეიჭრა. 17 ოქტომბრის მანიფესტით აღთქმულ თავისუფლები, რომლითაც აღჭურვილნი არიან მოსწავლენი; დატუსაღებული მო-

ბის განხორციელებაზე ლაპარაკიც მეტია; საჭიროა ძლიერი და შეუდრეკელი მთავრობა, რომლის აზრიც მინისტრმა დამცველ განკარგულებებით და განსაკუთრებულ დადგენილებებით განმარტა. კოკოვცევის დეკლარაცია მხოლოდ დეკორაცია იყო. მისი არსებითი მხარე კი კასომ გვამცნო. ოპოზიცია კასოს მოქმედებას ანგარიშს არ გაუწევს.

**ლვოვი პირველი.** მინისტრის განმარტება შესდგებოდა საერთო ფრაზებისაგან. სამწუხარო მოვლენის მიზეზებს მინისტრი საზოგადოებაში და ყველგან ეძებს, გარდა სასკოლო მთავრობისა. მინისტრისადმი აქ გამოთქმული მადლობა სწორე მისამართით არ იყო მიძღვნილი: მადლობა უნდა შეეთვალათ საპოლიციო დეპარტამენტის დირექტორისთვის (მარცხნივ ტაში). განახლების სამინისტრომ თავის მთავარ მიზნად დაისახა პოლიტიკური მაძებრობა. საჭიროა, რომ სამინისტრო თავის პირდაპირ დანიშნულებას დაუბრუნდეს. ბოლოს მაინც, გამოიჩინოს მეტი მზრუნველობა მათდამი, ვის აღზრდისათვისაც მოწოდებულია. გიმნაზიიდან დათხოვნილი მოსწავლენი საშინელ წუთებს განიცდიან და მინისტრი კი დამცინავად იღიმება. მრავალ მხრივ განვითარებულ მოსწავლეთ სასწავლებელში ადგილი არა აქვთო. ამ გვარ რამეს მინისტრი არ იტყოდა იმ მოსწავლეთა მიმართ, რომელნიც იზრდებიან უპირატესობით მოსილ სასწავლებლებში, როგორიც არის ლიცეი და სხვა, რადგანაც მათ წარჩინებულნი ნათესავნი გამოექომაგებოდნენ. სულ სხვაა გიმნაზია, რომელიც იღებს დემოკრატიულ ნაწილს, ერთხანად სამინისტრო გიმნაზიელ მოსწავლეებს მზარეულ ქალების შვილებად ჰნათლავდა. მინისტრის სიტყვაში გამოსჭვიოდა ღრმა ზიზღი საზოგადოებისადმი, რომელიც შესაძლებელია აქ, ჩვენს საზოგადოებაში, და რაც წარმოუდგენელია რომელიმე განათლებულ მხარეს (ოპოზიცია ტაშს უკრავს).

**გურევიჩი.** განათლების სამინისტროს მისწრაფება ის არის, რომ ხალხი უვიცობაში და სიბნელეში ამყოფოს. მინისტრი ბრძანებს: არა მსურს სკოლაში პოლიტიკას ადგილი ჰქონდესო. დაე, თვითონ პირველი ნუ იპოლიტიკანებს, ნუ შეაქვს ბავშვთა წრეში ეროვნული შუღლი და ზიზღი. მოლაპარაკის აზრით, საჭიროა დაუყონებლივ გადასწყდეს ებრაელთა საკითხი, რადგანაც, სანამ ეს წყეული საკითხი არ გადასწყდება, რეაქციას საკმარის საზრდოს მისცემს, და რუსეთის წინსვლას შეაფერხებს.

**თავმჯდომარე** სთხოვს თავი დაანებოს ებრაელთა საკითხს და მინისტრის განმარტებას შეეხოს. **გურევიჩმა** ტრიბუნა მიატოვა.

**გოდნევი.** როგორც მინისტრის სიტყვიდან გამოირკვა, მთავრობამ სამი თვის წინ იცოდა ამ საქმეების არსებობა და მის საწინააღმდეგოდ კი არაფერი უღონია. მთავრობა დამნაშავეა უმოქმედებაში, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვა. ცნობილია, რომ დაისაჯნენ მხოლოდ მოსწავლენი და არ ვიცით დაისაჯა ვინმე მთავრობის წევრი თუ არა. როგორც ეტყობა, მინისტრი საკმაოდ არ იცნობს გიმნაზიის წესდებას და მისთვის გაუგებარია უპირატესობასწავლენი, კანონის მიუხედავად არ წარუდგინეს საპედაგოგო მთავრობას. აღასრულა თუ არა მინისტრმა კანონი მოსწავლის უფლება-ღირსების დაცვისა? (მარცხნივ ტაში). მინისტრის განმარტებიდან სჩანს, რომ რუსეთის იმპერიაში მართვა-გამგეობა კანონით კი არა სწარმოებს, არამედ თვითნება განკარგულებაზეა დამკვიდრებული. რადგანაც მინისტრმა დაარღვია არსებული კანონები, მისი განმარტება დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება (ტაში ცენტრში და მარცხნივ).

**მლ. ბუდილოვიჩი** ყურადღებას აქცევს მინისტრის გადაწყვეტილებას ვოტმერის გიმნაზიიდან დათხოვნილ მოსწავლეთა თაობაზე და ეს გადაწყვეტილება სამწუხაროდ მიაჩნია. სახარებაში ნათქვამია: „ნუ განსჯით უდანაშაულოს, ღმერთსა ჰსურს შეწყალება და არა მსხვერპლი“. სათათბირომ უნდა უთხრას ბავშვებს: წადით სასწავლებელში და ნუღარ ჩაიდენთ ცოდვასო.

**მლ. სმირნოვი** განცვიფრებულია მინისტრის განცხადებით, რომ საშუალო სასწავლებელში განხეთქილებააო. ბავშვები არაფრის მაქნისნი არ არიან, გაბოროტებულნი არიან, აღმზრდელებისადმი მძულვარებით გაჟღენთილიაო. ამაში ყველაზე უფრო სკოლაა დამნაშავე. მაშ ვინ აიძულა ბავშვები დაეარსებინათ წრეები და რევოლიუციობანა ეთამაშათ? რასაკვირველია, სკოლის ატმოსფერამ. მოწაფეებთან დამოკიდებულება ნდობაზე უნდა იყოს დაფუძნებული. კადეტთა კორპუსში სწორედ ესეა საქმე დაყენებული, რადგანაც საქმეს სათავეში ბავშვების მოსიყვარულე ადამიანი უდგასო. ორატორი მოუწოდებს სათათბიროს შეიტანოს საშუალო სასწავლებელში რეფორმა, რადგან მოსალოდნელი მდგომარეობა დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

**კოვალევსკი.** მოვისმინეთ სათათბიროს სხვა და სხვა ჯგუფთა განმარტება და ოქტომბრისტებმა საჭიროდ ვცანით მცირეოდენი ცვლილება შეგვეტანა მორიგ საკითხზე გადასასვლელ ფორმულაში. ცვლილება შემდეგია: სათათბირო აღნიშნავს მოსწავლეთა უმწეო მდგომარეობას, რაიც შედეგია უმზრუნველობისა, მიუთითებს აგრეთვე მასწავლებელთა შემადგენლობისა და ოჯახის განხეთქილებაზე და სხვა. ოქტომბრისტები წინააღმდეგნი არიან კადეტების და პროგრესისტების ფორმულისა. ვერც ნაციონალისტების ფორმულას შეიწყნარებენ.

შემდეგი სხდომა 6 თებერვალს მოხდება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **პოლიტეხნიკუმის** საქმეთა გამო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნ. თ. რუდოლფის ბინაზე 1 თებერვალს თათბირი მოხდა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ: მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ვატაცი, მეფის მოადგილის კანცელარიის დირექტორი ბ-ნი პეტერსონი, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი და სხვანი. განიხილეს პროექტი პოლიტეხნიკუმის ადგილისა და შტატებისა, ხარჯთ-აღრიცხვა და პოლიტეხნიკუმის საესკიზო გეგმა და მოიწონეს. თათბირმა ქალაქის მიერ შეწირული მიწა პოლიტეხნიკუმისთვის შესაფერისად იცნო. თათბირმა დაადგინა, მთელი მასალა დაბეჭდოს და მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტში განხილვის შემდეგ დასამტკიცებლად წარადგინოს საკანონმდებლო დაწესებულებებში.

✦ სიონის საკათედრო ტაძართან საქართველოს **საეკლესიო ძმობა** განახლდა. ძმობას გორის ეპისკოპოსი ანტონი თავმჯდომარეობს. ძმობა ამ ჟამად ბეჭდავს ქადაგებათა კრებულს ქართულ ენაზე.

✦ **რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილეის გამო** სომხეთა კათალიკოსმა ტფ. საეპარქიო უფროსს ეპისკოპოსს ეფრემს წინადადება მისცა: 1) 20 თებერვალს გადაიხადოს პანაშვიდი რომანოვთა გვარის მეფეთა სულის მოსახსენებლად, 2) გადაიხადონ 21 თებერვალს სადღესასწაულო პარაკლისები და 3) სკოლებში აქტები გამართოს და სასულიერო სემინარიისა და სამრევლო სკოლების მოსწავლენი 3 დღით დაითხოვონ.

✦ მეფის მოადგილის თანაშემწე **სენატორი ვატაცი** გუშინ პეტერბურგს გაემგზავრა.

✦ კავკასიის რკინის გზათა მიმოსვლის უფროსის თანაშემწე **ა. პ. ილავინოვი** ამ წლის 1 თებერვლიდან დაინიშნა ამიერ-კავკასიის რკინის გზათა აგენტად და ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა კომიტეტის თავმჯდომარედ. ჯამაგირად დაენიშნა 5000 მ. საგზაოდ მიეცემა 600 მან. წელიწადში.

✦ **ქალაქის ცენტრალური საავადმყოფო** გუშინ გახსნეს სალდათის ბაზარში, სომხეთა სემინარიის შენობაში.

✦ სახლის პატრონთა და მდგმურთა საზოგადოების დავალებით საგანგებო კომისია საყიდლად მიწებს ეძებს, სადაც **საზოგადო სახლები** უნდა აიგონ. მიწის გაყიდვის მსურველნი ბევრნი არიან. კომისიამ 2 თებერვალს მიწები დაათვალიერა ვაკეზე, მაგრამ სიშორისა გამო მისი ყიდვა შეუძლებლად იცნო. ამ დღეებში კომისია მიწებს კუკიაში დაათვალიერებს.

✦ **ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის შემნახველ-გამსესხებელ კასაში** 1912 წლის განმავლობაში 19008 წიგნით შეუტანიათ 987,219 მ. 50 კ., გაუტანიათ 14,824 წიგნით 445,076 მ. 61 კ.

✦ რედაქციამ მიიღო მესხიშვილის საიუბილეო კომიტეტის გამოცემა: „ვლადიმერ სარდიონის ძე მესხიშვილი“—შედგენილი დ. კასრაძის მიერ. წიგნი კარგ ქაღალდზეა დასტამბული, ჩართული აქვს 15 სურათი (მესხიშვილი სხვა და სხვა როლებში თავის მოწაფეებთან), შეიცავს 136 გვერდს და ათ შაურად ღირს.

✦ 2 თებერვალს სიღნაღიდან მომავალი ეტლი გაროვის დილიჯანს ნავთლუღის სადგურთან უკანა თვალი გაუტყდა და მგზავრებიანად გადაბრუნდა. შიგ მჯდომ თ-დ ივანე დიმიტრის ძე ანდრონიკაშვილს მარცხენა ხელი მოსტყდა, ხოლო სტუდენტი ალექსანდრე მარქაროვი ძალიან დაიჟეჟა. დაშავებულნი არამიანცის საავადმყოფოში წაიყვანეს სამკურნალოს დახმარების აღმოსაჩენად, საიდანაც სახლებში გაისტუმრეს.

✦ 1 თებერვალს, საღამოს 10 საათზე, ნიკოლოზის ქუჩაზე, (სახლი № 84) იპოვნეს მიგდებული ბავშვი 14 დღისა, შემდეგის ბარათით: „მოუნათლავია. 1913 წ. 18 იანვარს დაიბადა, № 10“. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში წაიყვანეს.

✦ გუშინ პეტერბურგს გაემგზავრა მესაქონლეობის მცოდნე უფროსი სპეციალისტი ა. ა. ქალანთარი, რომელიც დაესწრება **სასოფლო-სამეურნეო საქმის მოღვაწეთა კრებას.** კრება 10 თებერვალს დაიწყება და 18 თებერვალს დასრულდება.

✦ **საქართველოს საეპარქიო სამისიონერო საბჭომ** დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა სამხედრო და საზღვაო სამღვდელოების მთავრობის წინაშე, რათა ამიერ-კავკასიის ჯარისთვის სამხედრო მისიონერის თანამდებობა დაარსოს.

✦ **ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების** გამგეობამ გუშინ ბარათები გაუგზავნა იმ პირთ, რომელნიც საზოგადოების ვალს ნებით არ იხდიან და სთხოვა, 15 მარტამდე ანგარიშები გაასწორონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვალეთა გვარებს გაზეთებში გამოაცხადებენ და შემდეგ სასამართლოს წესით უჩივლებენ.

✦ **ვლ. მესხიშვილის იუბილეს,** სხვათა შორის, დაესწრება მემუსიკის ნ. პ. სულხანიშვილის მომღერალ-მგალობელთა გუნდი, რომელიც იტყვის ახალ სიმღერას „სამშობლო ხევსურისა“ (მუსიკა თვით ბ-ნ სულხანიშვილისაა). ამას გარდა გუნდი შეასრულებს ადრესს სიმღერით.

✦ **თეატრი საბურთალოზე.** საბურთალოსა და ახალშენის მცხოვრებთა ერთმა ჯგუფმა გადასწყვიტა, სახალხო თეატრი დააარსოს საბურთალოზე. შესაფერ ადგილის მოძებნას უკვე შეუდგნენ. წესდებას ადგენენ.

✦ ახალშენის (ტფ. მაზრა) მცხოვრებნი შუამდგომლობენ ეგზარხოსის წინაშე, რათა ამ ადგილში ეკლესია ააშენონ.

✦ **ტფ. სახაზინო პალატის** ახალი გამგე პ. ა. სმირნოვი ტფილისში ჩამოვიდა და ხვალიდან თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგება.

### საზოგადოებანი და კრებები.

✦ **საგანგებო ხელოვნებათა წამქეზებელ საზოგადოების** წევრთა კრება 7 თებერვალს, საღამოს $7^1/_2$ საათზე, მოხდება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

✦ **ბუნების მეტყველთა და ექიმთა მე-13 კრებისთვის** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება სამიერ-კავკასიის ნიადაგის ნიმუშების შეგროვებას შეუდგა.

✦ **ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 3 თებერვალს მოხდა ქალაქის გამგეობის სადგომში ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა და დაამტკიცა საზოგადოების ანგარიში, რომლიდანაც, სხვათა შორის, სჩანს, რომ საზოგადოებას ამ ჟამად ნაღდი ფული ჰქონია 300 მან. დასარულ თანამდებობის პირთა არჩევნები მოხდა. გამგეობის წევრებად აირჩიეს: ო. ს. ბუკშტეინი, ი. ა. ფრანჩესკი, პ. გ. ბულგაკოვი, ვ. ბ. ელიავა, ა. ი. სტავროვსკი, ს. ქ. ვარდანიანი და დ. სპასსკი. კანდიდატებად: ა. ს. ლანგე და ვ. ა. ლიმარევი. კრებამ დაავალა გამგეობას, შეიმუშავოს პროექტი ჟურნალისტთათვის ცნობათა მიმცემ ბიუროსი. კრების დასრულების შემდეგ გამგეობის ახალ წევრთა კრება მოხდა, რომელზედაც აირჩიეს: გამგეობის თავმჯდომარედ ო. ს. ბუკშტეინი, მდივნად ს. ქ. ვარდანიანი და ხაზინადრად დ. სპასსკი.

✦ **ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურეთა საეკონომიო საზოგადოების** წევრთა კრება მოხდა, რომელმაც დაამტკიცა საზოგადოების წესდება და შემდეგ თანამდებობის პირთა არჩევას შეუდგა. კრებაზე 700 კაცი დაესწრო. დაასახელეს კანდიდატები, ყუთები და კენჭი უყარეს, მაგრამ გამოირკვა, რომ ზოგიერთს ყუთში 80, 90 და 100 კენჭიც იყო. ამის გამო არჩევნები კანონიერად არ ჩასთვალეს და სხვა დროისთვის გადასდეს.

✦ **ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება** 3 თებერვალს მოხდა ქართულ თეატრის შენობაში ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელ თ-დ პ. ი. თუმანიშვილის თავმჯდომარეობით. კენჭის ყრით (116 და 31 შავი) გადასწყდა, თავად-აზნაურთა წინამძღოლის განკარგულებაში წარმომადგენლობისათვის გადაიდოს 12,000 მან. გენერალმა გ. ნ. ყაზბეგმა აღნიშნა, რომ საჭირო იყო, კრებისათვის წარმოედგინათ საკითხი ქართული გიმნაზიის შესახებ, რომლის საქმეც მეტად საშიშ მდგომარეობაშიაო. რადგანაც ეს საკითხი განსახილველ საგანთა სიაში არ იყო შეტანილი, გადასწყდა, მოკლე ხანში ხელ-ახლა მოწვეულ იქმნას საგანგებო კრება გიმნაზიის საქმეების გამოსარკვევად.

✦ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება 1 თებერვალს მოხდა. რადგანაც ქალაქის საქალებო სკოლებში ხელსაქმის გაკვეთილებს აარსებენ, კომისიამ მასწავლებლები დანიშნა: რუსულ სკოლებისთვის ქ-ნნი პოლიაკოვი და პატერსონი, ქართულ სკოლებისთვის ქ-ნნი გვრიტიშვილი და ხიზანაშვილი და სომხურ სკოლებისთვის ქ-ნი გალოსიანი. ავჭალის სკოლაში სამღვთოსჯულის მასწავლებლად კომისიამ დანიშნა მართლ-მადიდებელთათვის მღვდელი ელიზბარაშვილი და გრიგორიანთათვის—მღვდ. ბარსეგიანი. კუკიის მესამე საქალაქო სკოლაში სარწმუნოების მასწავლებლად მალოკანთათვის დანიშნა ვ. ი. პიგროვი, საქალაქო სკოლების გალობის მასწავლებლად ნაცვლად ბ-ნ ფალიაშვილისა, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, კომისიამ ბ-ნი კავსაძე დანიშნა.

## ქუთაისი

✦ ქუთაისში ცნობა მოვიდა, რომ კავკასიის სამთო გამგეობამ დაამტკიცა შავი ქვის მრეწველთა ხარჯთ-აღრიცხვა 1913 წლისა. ამ ხარჯთ-აღრიცხვით **შავი-ქვის მრეწველთა სტიპენდიებს** 26 მეტი ახალი სტიპენდია მიემატება.

✦ თავად-აზნაურთა დეპუტაციის შუამდგომლობა მეფის მოადგილის წინაშე იმის თაობაზე, რომ **ქართული გიმნაზიის** იმ მოსწავლეთ, რომელნიც პირდაპირ მეშვიდე კლასში შევიდნენ და სასწავლებელში სამი წელიწადი დაჰყვეს, წრეულ ეგზამენის დაჭერის ნება მისცემოდათ სიმწიფის მოწმობის ასაღებად, კავკასიის უმაღლეს მთავრობას არ შეუწყნარებია და ამ ნაირად 8 ახალგაზდა უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა.

✦ **საადგილ-მამულო ბანკის გამგეობას** ფინანსთა მინისტრის წინადადება მოსვლია, რომ ბანკზე დარსენილი მამულებით გამოწვეული ზარალი სათადარიგო თანხით დაიფაროს და თუ ეს თანხა არ იკმარებს, მაშინ ძირითადი თანხაც დაიხმაროს.

ამ საგანზე ბანკის გამგე ორგანოებს მსჯელობა ჰქონიათ და ის აზრი დაუსკვნიათ, რომ ეხლანდელი მდგომარეობა ბანკისა იმდენად გაუმჯობესებულია, რომ დარჩენილი მამულებით გამოწვეული ზარალი დასაფარავად სათადარიგო თანხის ერთი ნაწილი კმარა. საბოლოვოთ ეს კითხვა გადაწყდება მაშინ, როცა საბოლოვოთ გამოირკვევა 1912 წლის მოგება.

თუ მინისტრის განკარგულება სისრულეში იქნა მოყვანილი, მომა-

# სახელმწიფო სათათბირო

### 23 იანვრის სხდომა.

**როძიანკო თავმჯდომარეობს.**

თავმჯდომარის წინადადებით სათათბირომ ფეხზე ადგომით პატივი სცა სათათბიროს წევრის გარდაცვალებულ როსტოვის ხსოვნას.

სათათბირომ უკამათოდ, 104 ხმით წინააღმდეგ 76, უარჰყო არჩევნების თაობაზე შეტანილი კადეტების შეკითხვის სწრაფი განხილვა.

ოქტომბრისტების წინადადებით, კომისიას მიეცა ორი კვირის ვადა წარმოადგინოს ამ საკითხზე მოხსენება. ამასთანავე ვადა მიეცა კომისიას პროგრესისტების შეკითხვის მოხსენებისთვის.

სათათბირო შეუდგა სოც.-დემოკ. შეკითხვის სწრაფად განხილვის საკითხზე მსჯელობას.

**ჩხეიძე** შეკითხვის სწრაფად განხილვის მომხრეა. მის აზრს უნდა მიემხროს ყველა წევრი, ვისთვისაც კი ძვირფასია კანონიერება, რადგანაც მთავრობის ჩარევა საარჩევნო კამპანიაში კანონის პირდაპირი დარღვევა და შელახვა არის (ტაში მარცხნივ).

**პურიშკევიჩი** შეჩერდა შეკითხვათა კარგ მხარეებზე და სთქვა: შეკითხვა ყოველ ადმინისტრატორისთვის დამოკლის მახვილი იქნება, რომელიც მათ შიშის ზარს სცემსო, თუ კი შეკითხვა წმინდა განზრახვით იქნება შეტანილი და დაფუძნებული შემოწმებულ მასალაზე, როგორც არის ინგლისში. საუბედუროდ რუსეთის სახალხო წარმომადგენლობაც და რუსეთის მთავრობაც ერთნაირად არიან დამნაშავენი შეკითხვის უფლების წინაშე. ყველაზე ნაკლებად არსებითად ეთანხმება შეკითხვის სიმრავლე, ყველაზე მცირედ ანხორციელებს შეკითხვის უფლების იდეალს სოც.-დემ. შეკითხვა, რომლის მიზანიც სოციალისტური პროპაგანდაა სახელმწიფოებრივ წყობილების დამხობისა (ტაში მარჯვნივ).

**როდიჩევი.** ამ შეკითხვას მეოთხე სათათბიროსთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი კანონიერ ნიადაგზეა აღმოცენებული. მეორე მხრივ საკითხი იმითაც არის საგულისხმო, რომ ადმინისტრაციის მოქმედებას არჩევნების საქმეში საზღვარს უდებს. როდიჩევი ადასტურებს არჩევნებში ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებას, ამტკიცებს, რომ მემარჯვენე ფრაქციათა წარმომადგენელნი გუბერნატორებისა და არქიელების შეთანხმებით არიან ამორჩეულნი მეოთხე სათათბიროში. შეკითხვის სწრაფი განხილვა აუცილებლად საჭიროა. ხალხი დაიღალა 17 ოქტომბრის აღთქმით და ლოდინით (ტაში მარცხნივ).

საზოგადო კამათის გათავების შემდეგ პირად საქმეზე ილაპარაკეს **ჩხეიძემ** და **ზამისლოვსკიმ.**

**თავმჯდომარე.** გენჭის ყრას უნდა შევუდგეთ. კენჭის ყრის თაობაზე ჰსურს ილაპარაკოს სუხანოვს.

**სუხანოვი.** სახელმწიფო სათათბიროს წევრნო! მე მგონია შეკითხვა უსათუოდ უნდა მივიღოთ, მთავრობას უნდა მოვსთხოვოთ, რაც შეიძლება მალე მოგვცეს პასუხი. ეს შეკითხვა, როგორც წინანდელი, იმდენად დიდს მასალას იძლევა, რომ მისი მიღება აუცილებელია. ამ მასალას თვითოეული ჩვენთაგანი წინათაც კარგად იცნობდა. მას, ასე ვსთქვათ, გვაგონებდნენ. გაუგებარია მემარჯვენეთა პოზიცია. მგონია ერთხელაც არ დაბადებულა ეჭვი, რომ რუსის მთავრობის აგენტები ცდილობდნენ როგორმე მემარცხენე დეპუტატი გაეყვანაც სათათბიროში. სადმე ასეთი ორიგინალი გუბერნატორი რომ გამოჩენილიყო, იმას არამც თუ ცარსკოე სელოში აღარ მიუშვებდნენ, იძულებული გაჰხდებოდა სულაც თავი დაენებებინა სახელმწიფო სამსახურისთვის. ყველაფერი, რაც არჩევნების დროს ჰხდებოდა, მხოლოდ იქითკენ იყო მიმართული, რომ შეექმნათ მემარჯვენე, დეპუტატი ზამისლოვსკის თქმით, შრომის შემძლე სათათბირო. თუ ეს ასეა, მაშინ მემარჯვენეებმა უნდა შეკითხვის ჩქარი განხილვა მოითხოვონ. ნამდვილად კი ასე არ იქცევიან.

**თავმჯდომარე.** გადავდივარ კენჭის ყრაზე. გადასაწყვეტი საკითხია, მივიღოთ თუ არა შეკითხვის საჩქაროდ განხილვის საჭიროება.

უარყოფილია. გადავდივარ უწყების მეოთხე მუხლზე. განსახილველია ისევ შეკითხვა. სიტყვა ეკუთვნის კერენსკის.

**კერენსკი.** ბატონებო, მგონია არც ერთს ჯგუფს არა აქვს იმდენი უფლება შეკითხვა შეიტანოს, რამდენიც შრომის ჯგუფს. მესამე სათათბიროში, როდესაც მთავრობა ჯერ ისევ არჩევნებისთვის ემზადებოდა, გამოიცა შესანიშნავი ცირკულიარი შინაგან საქმეთა მინისტრისა. ცირკულიარში ნათქვამი იყო, თუ როგორ უნდა მოემზადებინათ ნიადაგი მთავრობისთვის სასურველ კანდიდატების გასაყვანად. მაშინ შრომის ჯგუფმა შეკითხვა შეიტანა, მაგრამ ცენტრის უმრავლესობამ იგი უარჰყო, ალბად იმიტომ, რომ მათ ჯერ არ იცოდნენ, მთავრობა ვის დაუჭერდა მხარსა. კერენსკი ამის შემდეგ ეხება შეკითხვების მნიშვნელობას და მოჰყავს ფაქტები ადმინისტრაციის უკანონობისა არჩევნების დროს.

### გელოვანის სიტყვა!

**გელოვანი.** ბატონებო, მე არ ჩამოგითვლით ბოროტ-მოქმედებათა აუარებელ ფაქტებს, რომლებიც არჩევნების დროს მთელს რუსეთის იმპერიაში ჰხდებოდა. არ ვილაპარაკებ ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვხედავ ადმინისტრაციის ბოროტ-მოქმედებათა შემაძრწუნებელი ფაქტები თქვენზე როგორა მოქმედობს, რა პასუხს აძლევთ მათ, მეორეც, არ ვილაპარაკებ იმიტომ, თვითოეულ თქვენთაგანს, რასაკვირველია თუ კეთილსინიდისიერად მოიქცევით, ათი და ასი ისეთი ფაქტი შეუძლიან მოიგონოს, რანაირიც როდიჩევსა და სხვებს მოჰყავდათ. დღევანდელი კამათი ამ მხრით არ მინდა გავაშუქო. ამ ჟამად მე სრულიად სხვა რამ მაინტერესებს. სახელმწიფო სათათბიროს მარცხენა ნაწილმა მთავრობას საბრალმდებლო ოქმი წარუდგინა. იგი ამბობს, მთავრობამ იმ მემარჯვენეთა დახმარებით, რომლებიც ეხლა აქ, სახელმწიფო სათათბიროში სხედან, აუარებელი უკანონობა ჩაიდინა, მასხარად აიგდო კანონი და კანონიერება. იგი არამც თუ ამბობს ამას, აუარებელი დასამტკიცებელი საბუთებიც მოჰყავს. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მთავრობამ უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის ხელით სამღვდელოება საკურთხეველს მოჰგლიჯა და მასხარად აიგდო იგი. იმის მაგივრად რომ სიყვარული და სათნოება ექადაგა, სამღვდელოება იძულებული გახადა წყევლა-კრულვა შეეთვალა იმათთვის, ვინც პოლიტიკურად სხვანაირად აზროვნებდა. სამღვდელოებისა და პოლიციის ამ სამარცხვინო კავშირით ისარგებლეს სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენეებმა, რომლებმაც აქ რამდენიმე სკამი დაიჭირეს. მერე რა მოჰხდა? ამის საპასუხოდ მემარჯვენეებიდან დგება დეპუტატი პურიშკევიჩი და გვიცხადებს იმას, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტები ტყუილია, (არც ერთი დასამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტები მართალი არ არის, აქ არ მოუყვანიათ. ვერც მოიყვანენ, რადგანაც ყველაფერი, რაც აქ განვაცხადეთ ჭეშმარიტებაა და შემოწმებულია),—ჰოდა, ჩვენ გვიცხადებენ არა იმას, რომ მართალს არ ვამბობთ, არამედ იმას, რომ ინგლისში კარგია და ჩვენში კი არ ვარგაო. მართალია, ბატონებო, მე ვეთანხმები დეპუტატ პურიშკევიჩს, ინგლისში კარგია, მაგრამ რად არის კარგი, ბატონო პურიშკევიჩო? იმიტომ, რომ 3 ივნისის რევოლუცია იქ შეუძლებელია, იმიტომ რომ იქ მაკაროვები და საბლერები არ არიან. როცა იმ ბედნიერ წუთს მივაღწევთ, რომ კანონსა და კანონიერებას მასხარად აღარ აიგდებენ, როდესაც რუსეთის იმპერიის მოქალაქისა და პიროვნების ფეხ-ქვეშ გათელვა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობის მიღების საშუალებად არ გადაიქცევა; როცა აქაც ისე სცემენ პატივს პიროვნებას, როგორც ინგლისში და მისი უფლებანი ორივე იქნება დაცული, როგორც ინგლისში, მაშინ 70 შეკითხვას კი არ შეეტანთ, იქნება შვიდიც არ დაგვჭირდეს. იმ დრომდე კი ჩვენ განვიცდით იმას, რაც ყველა თქვენგანს მოეხსენება. და აი, ბატონებო, ან დაგვეთანხმეთ, რომ რასაც ჩვენ ვამბობთ, მართალია, ან აღიარეთ, რომ მთავრობას თქვენთან ერთად სიმართლისა ეშინიანთ და ამიტომ განზრახ არ უნდა პასუხი მოგვცეს. თუ თქვენ, განსაკუთრებით კი სამღვდელოებას, ჩვენი ნალაპარაკევი არ გესიამოვნათ, სცადეთ ერთი, მიიღეთ შეკითხვა და დაგვიმტკიცეთ, რომ მართალს არ ვამბობთ. თუ ამას არ იზამთ, ჩვენ უფლება გვექნება ისეთებად ჩაგთვალოთ, რანაირადაც ეხლა გთვლით (ტაში მარცხნით).

**მარკოვი მეორე.** ბ-ნებო! სახელმწიფო სათათბიროს წევრი კერენსკი ჩვენგან ლამაზ სიტყვებსა და თავიერ მიადას უარყოფას მოითხოვს. ვერაფერს ამის მსგავს ჩვენგან ვერ გაიგონებს. ბატონებო! საქმე ის არის, რომ აუარებელი შეკითხვები მოგვაყარეს. ფაქტები ბევრია. იქნება ზოგი მართალიც იყოს. საჭიროა გარჩევა, გამორკვევა. ეს კი შეუძლებელია, თუ შეკითხვა საჩქაროდ ვაღიარეთ. ამ ფაქტებისა არ გვეშინიან. როდესაც განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ ყველაფერი ეს სისულელეა,—არც მეტი, არც ნაკლები. ამის შემდეგ მარკოვი მეორე ეხება დასავლეთ ევროპისა და ამერიკის საარჩევნო წესებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ იქ უფრო მეტი უკანონობა ჰხდება ხოლმე არჩევნების დროსაო.

მარკოვ მეორის სიტყვის შემდეგ კენჭი უყარეს შეკითხვას და უარჰყვეს.

ვალ წელს ბანკი ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგება და შეძლება მიეცემა ჩვეულებრივი ხარჯის გასტუმრების შემდეგ, მოგება წესდების თანახმად გაანაწილოს და ქართულ გიმნაზიასაც ჩვეულებრივი დახმარება გაუწიოს.

✦ ქუთაისის წიგნების **გამომცემელ ამხანაგობის** ახალი გამგეობა ენერგიულად შესდგომია საქმეს და სრული იმედია დროებით მიძინებულ საქმეს გამოაცოცხლებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გამგეობასა და სარედაქციო კომისიებში აირჩიეს ისეთი კაცები, რომელნიც დატვირთულნი არ არიან სხვა საქმეებით, გარდა თავისი პირადი სამსახურისა და ამ შემთხვევაში საზოგადოება ასცდა ჩვენში გაბატონებულ სენს, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ერთსა და იმავე პირს, რაც გინდა დატვირთული იყოს იგი საქმით, მრავალ საკულტურო დაწესებულებაში ირჩევენ.

✦ დიდმთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზე არსებობდა ერთი **სტიპენდია** საადგილ-მამულო ბანკში და სტიპენდიანტს ნიშნავდა თვით დიდმთავარი. ეხლა მის მემკვიდრეთ უცნობებიათ ბანკისთვის, რომ სტიპენდიანტის დანიშვნას ჩვენ ვერ ვიკისრებთ და თქვენ თითონ შეიმუშავეთ წესი ამ სტიპენდიის დანიშვნისაო. ბანკის მმართველ-ორგანოებს ამ საგანზე ბსჯელობა ჰქონიათ და ის აზრი შეუმუშავებიათ რომ რწმუნებულთა მომავალ კრებას სთხოვონ ნებართვა ამ სტიპენდიანტის დანიშვნის უფლება მიეცეს ბანკის გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულ კრებას.

✦ 31 იანვარს დეპუტატთა საკრებულოში დანიშნული იყო, თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოწოდებით, **კერძო თათბირი**, რომელსაც უნდა დასწრებოდა ტფილისის მაზრის წინამძღოლი თ-დი პ. ი. თუმანიშვილი, მაგრამ კრება არ შესდგა თ-დი თუმანიშვილის მოუსვლელობის გამო.

✦ **თავად-აზნაურთა ჩვეულობრივი კრება.** დანიშნულია 25 მომავალ მაისს და რადგან ამ კრებაზე ბანკის რწმუნებულთა ერთ-ნახევარს აირჩევენ, ამიტომ ბანკის რწმუნებულთა კრებაც განზრახულია ამ ვადის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 31 მაისისა.

✦ როგორც ამბობენ ქალაქის, გამგეობის წევრის არჩევნები გაუსაჩივრებიათ. მიზეზად იმას ასახელებენ თურმე, რომ თ-დ ნიკ. ლორთქიფანიძეს ყუთი არ დაუდგეს მიუხედავათ იმისა, რომ მისგან წარმოდგენილი ცენზი კანონიერი იყო და თან კენჭის ყრაზე თანხმობა ჰქონდა გამოცხადებულიო.

✦ როგორც გავიგეთ სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ქალაქის მოურავისათვის აღუთქვამს: თქვენს მოთხოვნილებას, ქალაქის დაწყებით [სკო]ლებში 81 წ. სამოსწავლო გეგ[მ]ის შესახებ, დავაკმაყოფილებო. დაპირებია ამასთანავე—დირექტორებისა და ინსპექტორის მიერ დათხოვნილ მასწავლებლებს უკანვე მივიღებთო.

✦ შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ზდანოვიჩი** შავი-ქვის საქმეების გამო პეტერბურგს გაემგზავრა.

✦ ქუთაისის გუბერნატორს ქუთაისისა და ლეჩხუმის მაზრის სამხედრო საკრებულოს წინააღმდეგ სენატში საჩივარი აღუძრავს ამ საკრებულოებში ჯარის-კაცთა გაყვანის დროს 1911 წელს ბოროტ-მოქმედებას სჩადიოდნენო („იმერ.").

✦ იბეჭდება და გამოვა ქართულ ენაზე ახალი **კანონი მუშათა დაზღვევისა.** წიგნს სცემს ჭიათურის მრეწველთა საბჭო ჭიათურის მრეწველებისა და მუშებისთვის დასარიგებლად, როგორც ამას კანონი თხოულობს.

✦ ქუთაისის გუბერნიის სათავად-აზნაურო **ბანკის გამგეობა** შეუდგა 1912 წლის ანგარიშების შედგენას. ბანკის წევრების წლიური კრება მოხდება მაისის პირველ რიცხვებში („მერცხალი").

### ფოთი

✦ ქალაქ ფოთში ორი პოლიციელის მოკვლისათვის იაგორ ცერალაძეს კავკასიის სამხედრო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა. ცერალაძეს სიკვდილით დასჯა ნამესტნიკმა რვა წლის კატორღაზე შეუცვალა.

### ჭიათურა.

✦ 1 თებერვალს აკურთხეს **ჭიათურის ხაზინის ახალი შენობა**, რომელიც შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ აგო. კურთხევაზე დაესწრნენ ქუთაისის სახაზინო პალატის გამგე, გუბერნიის და მაზრის წარმომადგენლები, ადგილობრივ დაწესებულებების წარმომადგენლები, ინტელიგენცია, მრეწველთა და ვაჭართა საზოგადოება და მრავალი გარეშე ხალხი. მშვენივრად გალობდა საქალაქო სასწავლებლის მგალობელთა გუნდი ბ-ნ სანდრო კავსაძის ლოტბარობით. მღვდელმა ვაშაძემ რუსულად წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა. ალექსანდრე გამრეკელოვმა გრძნობიერი სიტყვით რუსულადვე მიმართა სახაზინო პალატის გამგეს, რომელსაც საზოგადოების სახელით ულრმესი მადლობა გამოუცხადა ამ საქმის დაგვირგვინებისთვის. საზოგადოება მხიარულად მიეგება ხაზინის გახსნას. ყველა სტუმრები და ხაზინის მოხელეები სადილად მიიწვია ბოქაულმა პროკოპი მესხმა.

### სიღნაღი

✦ 27 იანვარს, მირზაანში ჩხუბის დროს ხანჯლით მოჰკლა დანიელ პოპიაშვილმა იაგორა ლოპიაშვილი.

✦ 29 იანვარს სიღნაღის კლუბის წევრების საზოგადო კრებამ ამოირჩია მამასახლისებად: ზასლავსკი (55 ხმა.), ტროიცკი (59 ხ.), ამირან შავერდოვი (57 ხ.), ექ. ოგანოვი (46 ხ.) ვარდო ენიკოლოფოვი (40 ხ.), ქრ., ტერასტვაცატუროვი (37 ხ.), და ი. დ. ქიტიაშვილი (35 ხ.), მათ კანდიდატებათ: კ. ტყავაძე (20 ხ.), მასწ. ყაზბეგი (12 ხ.), გამომძიებელი რუდაკოვი (12 ხ.), ექ. ტურიაშვილი (8 ხ.), ხაზ. ვინაგრადოვი (6 ხ.), ექ. ფავლენიშვილი (6 ხ.), ახო ვაჩნაძე (5 ხ.), ტყავაძემ ქ ყაზბეგმა, ტურიაშვილმა უარი განაცხადეს. უარი განაცხადა აგრეთვე ენიკოლოფოვმა, მაგრამ მგონი დაიყოლიეს. სარევიზიო კომისიაში ამოირჩიეს: ი. ზურიაშვილი, სააკოვი, გ. ქანიშვილი, ი. სარაჯიშვილი და ა. კამენევი,

## სანადელო ფული და ქუთაისის თავ.-აზნაურობა

**ქუთ. გუბ. წინამძღოლის წერილი მაზრის წინამძღოლებისადმი.**

საერთოდ კავკასიისა და კერძოდ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა სოფლის მეურნეობას ეწევა და ერთად ერთი წყარო მისი კეთილ-დღეობისა მიწაა, რომელსაც იგი ამუშავებს, სოფლის წვრილი მემამულე, როგორიც არის ქუთაისის გუბერნიის მიწის მფლობელი, მეტად გაჭირვებულ პირობებშია იმის გამო, რომ ის საშუალება, რომლითაც იგი მიწას ამუშავებს, ერთობ მცირე სარგებლობას აძლევს, და რაკი სხვა წყარო შემოსავლისა არ მოეპოვება, ნახევრად მშიერი, საცოდავ მდგომარეობაშია. გუბერნიის მცხოვრებთა რიცხვი კი მატულობს, მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება, ცხოვრება გაძვირდა, სხვათა შორის, იმის გამოც, რომ მიწა გამოიფიტა და გართულებული სულიერი მოთხოვნილება ხალხისა კი მეტს ხარჯებს მოითხოვს; სოფლის მეურნე სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და სახსარი ვერ მოუძებნია, რომ ამ აუტანელ გაჭირვებას შეებრძოლოს, თავი დააღწიოს ამ გაჭირვებას. ხელს უწყობს კიდევ ის გარემოება, რომ გუბერნიაში არ არის ისეთი დაწესებულება, რომელიც ავრცელებდეს სამეურნეო ცოდნას და ამ მეურნეობის ტეხნიკური გაუმჯობესება შეეძლოს. საზოგადოებრივ და ბუნებრივი პირობების მიხედვითაც, გუბერნიის მდებარეობის სხვა და სხვა სახის წყალობით სოფლის მეურნესაც სხვა და სხვა სახის ბრძოლა უხდება ამ პირობებთან. არ მოგვეპოვება დიდი მამული, რომ შეგვეძლოს გავიჩინოთ მანქანები, იარაღები, გავაუმჯობესოთ საქონლის ჯიში, მოვიპოვოთ თესლეული. ძველთაგან დარჩენილმა მიწის დამუშავებამ სრულიად გამოფიტა ნიადაგი და მემამულე არ დაეძებს მის გაპოხიერებას; გვალვა და აღმოსავლეთის ქარი სრულიად ადუნებს მეურნის ენერგიას, რომელიც უმწეოდ დაჰყურებს თავისი შრომის დაღუპვას; აუარებელი ჭაობიანი ადგილებია, რომელთა ამოსაშრობად პატრონთ სახსარი არ მოეპოვებათ; ტყე ულვთოდ, დაუზოგველად იჩეხება, საქრულები არ შენდება, კულტურული მცენარენი არ ირგვება და მთელი გუბერნია მარტო სიმინდსა და ვენახს მისჩერებია და ამით კულტურის საქმეც ვერ მიდის სასურველად. ასეთი ვითარების წყალობით, გასაკვირველიც არ არის, რომ ქუთ. გუბ. მცხოვრებნი უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნილან. მომავალში მცხოვრებთა ყოფა უფრო მძაფრსა და მწვავე ხასიათს მიიღებს, უკეთუ ზომებს არ მივიღებთ, რომ გუბერნიის მცხოვრებთა მშრომელი ნაწილის კეთილდღეობის და ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას ხელი არ მივყავით. ამ სახით ჯერ კიდევ შეიძლება დაარსდეს ისეთი დაწესებულება, რომელიც შემწეობას მისცემს ჩვენს სოფლის მეურნეს, ცხოვრების ულმობელ პირობებს შეებრძოლოს. საჭიროა ხალხში სამეურნეო ცოდნის გავრცელება, ზომების მიღება მიწის განოყიერებისათვის, ჭაობების ამოშრობა, მორწყვა, სამეურნეო იარაღების საწყობების გამართვა, წესიერი დამუშავება მიწისა და ტყის რიგიანი სარგებლობა, საქრულების გაშენება და საზოგადოდ მამულის ღირებულების აწევა და ამით, რაც კი მოხერხდება, მეტი სარგებლობის მიღება. ყველა ამის შესრულებას, ცხადია, ჩვენი სოფლის მემამულე ვერ შესძლებს, რადგანაც ამას დიდი ფული უნდა. ამას ვერ შესძლებს თვით საზოგადოება და წოდებაც, მაგრამ ქუთაისის გუბერნიის აზნაურობამ იქნება ამ ცუდ პირობებთან ბრძოლა გაუადვილოს სოფლის მეურნეს, თუ იგი თანხას გადასდებს ამ საქმისათვის. ამ თანხის გამოღებისათვისაც მარჯვე დროა დღეს. როგორც ვიცით, დროებითა ვალდებული გლეხების განთავისუფლების გამო, მემამულენი ხაზინიდან ფულს მიიღებენ; თითოეული მემამულე ამ აღებული ფულით რაიმე დიდი საქმის გაკეთებას ვერ შესძლებს, რადგან ცალ-ცალკე ჯამი ამ გამოსაყიდი ფულისა მცირე და უმნიშვნელო იქნება, ხოლო საერთოდ კი კარგი ძალი თანხა იქნება, რომლითაც შესაძლო გახდება აღდგენა და წარმატება გუბერნიის მცხოვრებთა სოფლის მეურნეობის ცხოვრებისა. რასაკვირველია, იმის იმედი ცოტაა, რომ მთელად ეს მიღებული ფული გადაიდვას ამ საქმისთვის თანხად, მაგრამ პირადი სარგებლობისა და სრულიად გუბერნიის ინტერესებისათვის, დარწმუნებული ვარ, ყოველი მემამულე ამ ფულიდან 25 პროც. გადასდებს ჩვენი ქვეყნის სასარგებლო საქმისთვის და თავის გადატაკებულ მეზობელს სოფლის მეურნეს, ფეხზე დააყენებს.

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, აუწყოთ თქვენი მაზრის თავად-აზნაურთ მომავალ კრებაზე ზემოდ აღნიშნული მოსაზრებანი სამელიორაციო თანხის დაარსების თაობაზე. ამასთან საჭიროდ ვრაცხ გაცნობოთ, რომ ამ თანხის სარგებლობის წესი ცალკე შემუშავდება და, როცა მას მიიღებს თავად-აზნაურთა გუბერნიის კრება, იგი შესაფერისად დადგენილი იქნება ცალკ-ცალკე შემთხვევისათვის. იმედი მაქვს, თქვენო ბრწყინვალებავ, ყოველ ზომას მიიღებთ და ჩვენი გუბერნიისათვის ამ დიდად მნიშვნელოვან საქმის განხორციელებას ხელს შეუწყობთ.

## სოფ. ალის საკრედიტო ამხანაგობა

**წლიური კრება**

1913 წ. 20 იანვარს ს. ალის საკრედიტო ამხანაგობის წლიური კრება მოხდა. კრებას, მიუხედავად ცუდის ამინდისა, მაინც ამხანაგების საკმაო რიცხვი დაესწრო.

კრება გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ მღ. ი. მაჭარაშვილმა, და წინადადება მისცა კრებას თავმჯდომარე აერჩიათ, რის შემდეგაც თითქმის ერთხმად აირჩიეს მღ. გ. კეველიშვილი, ხოლო მდივნად—ნ. თაბუხაშვილი.

დამსწრენი დიდის ინტერესით ელოდნენ ანგარიშის განხილვას აი, დაიწყო კიდეც ანგარიშის განხილვაც და კრება სმენად გადაიქცა. აქეთ-იქიდან ისმის ხმები; თხოულობენ ზოგიერთა ციფრების განმარტებას.

გამგეობის მოხსენებიდგანა სჩანს, რომ ამხანაგობას, რომელიც 300 წევრისაგან შესდგება, მოქმედება დაუწყია 1912 წ. 1 იანვრიდგან. სახელმწიფო ბანკიდგან ძირითად თანხად მიუღია 2000 მან. სხვა და-სხვა დროს ბანკიდგან გამოუტანია სესხად 3000 მანეთი. ეს ფული წლის განმავლობაში ორჯერ შემოუტრიალებია, ისე რომ წლიური საწარმოო თანხა უდრის 14724 მან. და 48 კაპ.

ამხანაგებზე გაცემულ სესხზე შემოსულ სარგებლიდგან, რომელიც 945 მან. 8 კ. უდრის, სახელმწიფო ბანკიდგან გამოტანილ ფულზე სარგებლად გამგეობას მიუცია 334 მან. 19 კ., მმართველობაზე დახარჯულა 110 მან. 55 კ. ხოლო წინდაწინ შემოტანილ ვალზე სარგებელი დაუბრუნებიათ 1 მ. 50 კ.—სულ 446 მან. 24 კ. 1 იანვრისთვის კასაში ყოფილა 18 მან. 84 კ. ისე რომ ამხანაგობას წმინდა მოგება დარჩენია 498 მ. და 84 კაპ. კრებამ ცოტაოდენი კამათის შემდეგ ანგარიში მოიწონა და დაამტკიცა. კრებამ ეს მოგება ასე გაანაწილა: წესდების მიხედვით 20 პროც. მოგებიდგან, რაიც უდრის 99 მან. და 76 კ., სათადარიგო თანხად გადასდო, 10 პროც., რომელიც უდრის 17 მან. იმ 170 მან. ხარჯის დასაფარავად, რომელიც გამგეობამ გასწია კასის შექენაში, ხოლო დანარჩენი ფული 382 მან. 8 კ. კი თავის საკუთარ თანხის გასაძლიერებლად. შემდეგ საერთო კრებამ განიხილა და მიიღო შემდეგი კითხვები: 1) ვინაიდგან ამხანაგობის საქმეები გაფართოვდა და მეტს შრომას მოითხოვს გამგეობისა და მოანგარიშესაგან, ამისათვის დაადგინა დაენიშნოს გამგეობის ერთ-ერთ წევრს ჯამაგირად 60 მან., მოანგარიშეს კი 120 მანეთი. 2) სხვა და სხვა მომავალ ხარჯების დასაფარავად გამგეობას მიეცა ნება 130 მან. დახარჯვისა. 3) კრებამ დაავალა გამგეობას აღძრას შუამდგომლობა სახელმწიფო ბანკის წინაშე, რათა ძირითადი თანხა გადიდებულ იქნას 4000 მან ხოლო მოკლე ვადიანი სესხი კი 10000 მან. 4) იმ შემთხვევაში, თუ რაიონის არსებულ საკრედიტო ამხანაგობის კავშირის დაარსება განიზრახეს, თათბირზე დასწრება დაევალა გამგეობის თავმჯდომარეს გ. მაჭარაშვილს, სრულის გადამწყვეტი უფლებით. კრება საინტერესო იყო, თითქმის ყველა ამხანაგი საკითხების განხილვაში მონაწილეობას იღებდა. შეჰქონდათ შეკითხვა, თხოულობდნენ განმარტებას და სხვ. ზოგიერთებმა სრულიად მოულოდნელად შემნახველ-გამსესხებელ კასის დაარსებაზედაც კი ჩამოაგდეს ლაპარაკი, მაგრამ კრებამ ჯერ-ჯერობით ნაადრევად სცნო და ეს საკითხი მომავლისათვის გადასდო. ამ კრებაზე დასასწრებლად მიწვეული იყო და თანხმობაც გამოცხადებული ჰქონდა წვრილი კრედიტის ინსპექტორს ბ-ნ ი. ი. ნავრატილს, მის ნაცვლად გამგეობამ დეპეშა მიიღო, რომლითაც ატყობინებდა თავის დაუსწრებლობას, კრებამ უკმაყოფილება გამოსთქვა ამის შესახებ.

ხაშუადღევის 4 საათი იყო, რომ კრებამ მადლობა გადაუხადა გამგეობას, და საბჭოს უსასყიდლო შრომისათვის და კრების თავმჯდომარეს.

## წერილი სოფ. ქვემოხვითიდან

(ქართლი)

მეოთხე წელიწადია, რაც ს. ქვემოხვითში პატივცემულ ილია დიმიტრის ძე მაჭავარიანის თაოსნობით დაარსდა ერთკლასიანი სამრევლო სკოლა, სადაც ამჟამად ოთხი განყოფილებაა და სამოცამდე მოწაფე სწავლობს. ბ. ილია მაჭავარიანმა თავის საკუთარ შენობაში დაუთმო სკოლისათვის უფასოდ ერთი მოზრდილი ოთახი. მანვე იკისრა ყოველივე სასკოლო ხარჯი. თავის ფულით ყიდულობს ყოველ სასწავლო ნივთს და მოწაფეებს უსასყიდლოდ ურიგებს. ამჟამად სკოლას აქვს წიგნთსაცავიც, სადაც მოიპოვება სამასამდე საბავშვო წიგნი. სკოლაში ბავშვები წერა-კითხვის გარდა სწავლობენ კალათების წვნასაც. ამ დარგს ხელმძღვანელობს მასწავლებელივე; საჭირო იარაღები კი შეძენილია ბ. ილია მაჭავარიანისავე ხარჯით. ერთის სიტყვით სკოლის აყვავების საქმეში არანაკლები ღვაწლი მიუძღვის ბ. მაჭავარიანის მეუღლეს პატივცემულ ნინო გიორგის ასულს. მათ მიერ დაარსებულ სკოლას საეპარქიო საბჭომ მასწავლებლად დაუნიშნა საეპარქიო სასწავლებელში ახლად კურს დამთავრებული ნ. ტ. უნაფქოშვილი. გამოუცდელი ბავშვების სწავლებაში, მაგრამ ენერგიით სავსე მასწავლებელი მხნედ შეუდგა მძიმე საქმეს. იგი ბევრს დაბრკოლებას განიცდიდა თვის ეკლიან გზაზე, სწავლის რიგიანად დაყენებაში, რომ მას გვერდში არ ამოსდგომოდა, სწავლის საქმეში ფრიად ნაწრთობი და დახელოვნებული ნინო გიორგის ასული. მათმა შეთანხმებულმა მუშაობამ სწავლის საქმე სალ პედაგოგიურ ნიადაგზე დააყენა და სკოლამ სასურველი ნაყოფიც მოიტანა. გლეხებმაც ნდობით შეხედეს ასეთ სკოლას და ხალისიანად გზავნიან იქ თავიანთ შვილებს. ან რატომ არ გაგზავნიან, როდესაც მათი შვილები წერა-კითხვის გარდა, კალათების წნვასა და ჭრა-კერვასაც სწავლობენ?

ნინოობას ზემოხსენებულ სკოლის მზრუნველთ მოწაფეებს გაუმართეს „შობის ხე". ჩვეულებისამებრ, წირვის შემდეგ ბავშვებს თავი მოეყარათ საკლასო დარბაზში. მასწავლებელი ნატ. უნაფქოშვილი სათითაოდ ეკითხებოდა მოწაფეებს წმ. ნინოს ცხოვრებაზე. ისინიც სათითაოდ უამბობდნენ მასწავლებელს რაც კი იცოდნენ ქართველთ განმანათლებელის ცხოვრებიდან. ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო წმ. ქალწულზე ბაასი, რომ კლასში შემობრძანდა ნინო გიორგის ასული თვის პატივცემულ სტუმრებით. მოწაფენი ფეხზედ წამოდგნენ. სტუმრებმა ცნობისმოყვარეობით დაუწყეს მოწაფეებს თვალიერება. მეოთხე განყოფილების მოწაფემ ქალმა სონა მარგულაშვილმა ნინო გიორგის ასულს შემდეგი სიტყვით მიჰმართა.

„მეოთხე საუკუნეში ქართველ ერს მოევლინა დიადი პიროვნება, წმინდა ნინო ქართველთ განმანათლებელი. მან დაიცვა ქართველი ერი კერპთაყვანისმცემლობიდან და ქრისტიანობის აღორძინებით ქართველი ხალხი იხსნა ველურობისაგან და წარადგმევინა მას ფეხი განათლებისაკენ. ვინ იცის რამდენი ტანჯვა, რამდენი ვაება გამოიარა წმ. ნინომ, მაგრამ სულით მაღალმა, ენერგიით სავსე პიროვნებამ მაინც თავისი გაიტანა. მასთან ნათლად დაგვანახვა რაც შეუძლიან ქალს, თუ მას სწავლა, რწმენა და მისწრაფება მიუძღვის წინ. ამიტომ ეს დღე, 14 იანვარი, ნინოობა, ყველა ქართველისთვის დიადი დღეა. ჩვენთვის, ხვითელებისთვის, მეტად, რადგან ჩვენ თვალწინ გვყევხართ წმ. ნინოს იდეების განმახორციელებელი, ძვირფასო ნინო გიორგის ასულო, განმანათლებელო პატარა ხვითისა!.. ოც წელიწადზე მეტია რაც თქვენ შეეხორცენით სულით და გულით ჩვენს ხალხს და იზიარებთ მათ ავსაც და კარგსაც. დიდი დროა ეს დრო, რომ თქვენი პიროვნება კარგად გავეცნო და დაგვეფასებინა. ვინ მოსთვლის იმ ღვაწლს, რა ღვაწლიც თქვენ მიგიძღვით ჩვენს წინაშე? მხოლოდ ყველა ეს ჩვენი გულის ფიცარზეა აღბეჭდილი და ვიდრე ჩვენს მკერდში სჩქეფს სისხლი, თქვენი ხსოვნა და სიყვარული უტყუარია. ვეცდებით ის წმინდა აზრები, რომელნიც ჩაგვინერგა გულს თქვენის წყალობით, გავაფართოვოთ, ერთი თაობიდან მეორეზე გადავიტანოთ და მით უკვდავ ვყოთ თქვენი სახელი. გილოცავთ რა თქვენს დღესასწაულს, მოგართმევთ ამ მცირე საჩუქარს (გაუწოდებს პატარა შალს მოწაფეების მოქსოვილს). ვინ იცის ბედმა სად გადაგვიტყორცნოს. გთხოვთ, ნუ დაგვივიწყებთ თქვენს პირმშო შვილებს. იცოცხლეთ დიდხანს ჩვენდა საიმედოდ, ძვირფასო სულიერო დედა!!.."

ამ სიტყვამ აღტაცებაში მოიყვანა ყველანი, თვით ნინო კი სახტად დარჩა ამ სიტყვით. მან ჩამოართვა მოწაფეს შალი, მადლობა გადაუხადა ყველა მოწაფეთ და კერძოდ სონას და აღუთქვა: განვაგრძობ სამსახურს ვიდრე ძალმიძს სწავლა-განათლების საქმეში, ვინაიდან ეს ჩვენ, ქართველებს, ასე ძლიერ გვესაჭიროება. და თქვენც, ჩემო ძვირფასო მოწაფენო, ეცადეთ, როგორც მპირდებით, გაავრცელოთ სწავლა, სიბნელეში მყოფ ხალხში შეძლებისა დაგვარად და ყოველი ღონისძიება იხმარეთ სხვასაც ხელი შეუწყოთ საქართველოში სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში.

შემდეგ მგალობელთა გუნდმა იმღერა „მრავალჟამიერ". ამას მოჰყვა ლექსი აკაკისა „მილოცვა", რომელიც წაიკითხა ზეპირად მოწაფემ სონა მეგრელიშვილმა. გუნდმა იმღერა აკაკისავე „სიზმარი". წაიკითხეს ლექსები: ელენე ეპიტაშვილმა („დედა-ენა" ერისთავისა), ფეფე მეგრელიშვილმა და სხვ. ყოველ ლექსის შემდეგ გუნდი ასრულებდა სიმღერებს.

საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც მოწაფენი თავ. მიხეილ ნიკოლოზის ძე დიასამიძის სახლში შობის ხეს „მუმლი და მუხასა"-ს სიმღერით გარს უვლიდნენ. ბავშვების სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. აქაც წარმოსთქვეს მოწაფეებმა ლექსები: ოლა ბასილაძემ „ოინას სტუმრები", გოგლა ბასილაძემ „პატარას", შიო მღვიმელისა, „მაიმუნი და სარკე" სამმა მოწაფემ შალვამ, ნიკოლამ და სვიმონამ. მათვე სათითაოდ იმღერეს „ურმული" და საჩუქრებიც მიიღეს. აქაც ყოველ ლექსის შემდეგ გუნდი სხვა და სხვა სიმღერას მღეროდა. „შავლეგ, შენი შავი ჩოხა"-ს სიმღერის დროს დაჰკრეს ტაში და რიგრიგად ჩამოუარეს. შემდეგ მოწაფეებს დაურიგეს საჩუქრები, გაუმასპინძლდნენ ტკბილეულობით და ფრიად ნასიამოვნებნი სახლებში დაიშალნენ.

ვუსურვოთ ქვემოხვითის სკოლას კვლავ ასე ბრწყინვალედ განაგრძოს თვისი გზა და მაგალითი გამხდარიყოს სხვებისთვის, ვუსურვოთ დღეგრძელობა სკოლის მზრუნველთ, მასწავლებელთ და ყველა გულშემატკივართაც.

P. S. დიდი მადლობის ღირსნი არიან თავ. მიხეილ ნიკოლოზის ძე დიასამიძე, მეუღლე მისი თინათინი და თინათინის მამიდა კნ. ნინო, რომელთაც ყოველივე დახმარება აღმოუჩინეს სკოლის მოჭირისუფლეთ მოწაფეთათვის შობის ხის გამართვაში. **მოამბე.**

## ბალკანეთის ომი

### დეპეშები.

**1, 2 და 3 თებერვალი.**

**სოფია.** ადრიანოპოლის რამდენიმე უბანი ცეცხლის ალშია გახვეული. ოსმალები უნაყოფოდ შეეცადნენ შარკიოს ველზე გადასვლას. მაშინვე ეცნენ ბულგარელები და უკუაქციეს. ბრძოლის ველი დახოცილ ოსმალთა გვამებითაა მოფენილი.

**ბელგრადი.** ნიშას დამცველი არტილერიის მთელი ჯარი ადრიანოპოლში გაიგზავნა.

**სტამბოლი.** ოფიციალურის ცნობით, 12 იანვარს 16 ათას მეომრისაგან შემდგარი ჩერნოგორელების ჯარი იერიშით მივიდა ტარაბოშზე და ბარდანიოლზე, მაგრამ ოსმალებმა უკუ-აქციეს. ჩერნოგორელებს მოუკლეს და დაუჭრეს 3.000 კაცი. ბრძოლის ველზე ჩერნოგორელებმა დასტოვეს 6 ზარბაზანი და საომარი სურსათი.

შუადღიდან გალიპოლის მიდამოებში დიდი ბრძოლა სწარმოებს. ბულგარეთის წინა რაზმებმა 8 ვერსით წინ წაიწიეს.

რეშიდ-ქემალ, ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის უფროსი, ინიშნება მეორე დელეგატად. იგი ლონდონში მიდის.

**ბუქარესტი.** სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ მთავრობა განაგრძობს დუმილს გალიპოლით ნ ბრძოლის თაობაზე, საცა მდგომარეობა ფრიად გაჭირვებულია, ფახრი-ფაშას დამარცხების გამო.

კალიკრატიაში გამოქცეულნი ლაპარაკობენ, რომ ოსმალებმა გაანადგურეს სამისოფელი. ბერძენი მცხოვრებნი პატრიარქატს სთხოვენ გაეგზავნოს გემი მირიაფიტოში, ბარკიოში და სილივრიაში, რათა უმწეო მცხოვრებთ მფარველობა გაუწიოს. მთავრობას ამისი პასუხი არ შეუთვლია.

ჯაფარ-თაირი, იპეკის ნაგუბერნატორალი და ხალგაზდა ოსმალთა კომიტეტის წევრი იგზავნება ალბანეთში სერბიელების წინააღმდეგ აჯანყების მოსაწყობად.

**ბუქარესტი.** გალიპოლთან დამარცხების დროს, დაიჭრა ენვერ-ბეი. ენვერ-ბეი გადაიყვანეს ჯავშნოსან „თურგუტრეიზე".

**სოფია.** ბულგარეთის არტილერიამ ოსმალეთის ტრანსპორტი ჩასძირა.

**ბელგრადი.** სერბიის „პრეს-ბიურო" აცხადებს, რომ ცნობები ვითომც სერბიის ჯარი იგზავნებოდეს ჩათალჯასა, ადრიანოპოლსა და იანინაში, სიმართლეს მოკლებულია. ტყუილია, ვითომც ალბანელები, სერბიელების მკაცრი მოპყრობის გამო აჯანყებულიყვნენ.

სარდალი პუტნიკი ჩამოვიდა.

**სტამბოლი.** სამხედრო სამინისტრო იტყობინება, რომ ბულგ რეთის ჯარი ჩათალჯის სიმაგრეებიდან 6 ვერსის მანძილზე განიდევნოო. ბულგარების დანაკლისი საგრძნობია. სულთანის ბრძანებით სამსახურიდან 6 ოფიცერი დაითხოვეს პოლიტიკაში ჩარევისათვის. ჩათალჯაში ტყვეთ წაიყვანეს ტირნოვის პროფესორი ლეიტენანტი როდოსლავოვი.

**პოდგორიცა.** ბარდანოლთან ბრძოლის დროს ჩერნოგორიელების დანაკლისი სავსებით არ არის გამორკვეული. ორი დღის განმავლობაში მშვიდობიანობა აქა-იქა სროლით თუ ირღვეოდა. ჯარი კარგ გუნებაზეა. მეფე ცეტინიეში წავიდა.

### გაზეთებიდან

**ზავის მოლოდინში.**

ოსმალეთის მთავრობამ ლონდონში მყოფ ელჩის პირით სახელმწიფოებს სთხოვა, შეაჩერეთ ომი და ზავის ისეთი პირობები შეიმუშავეთ, როგორსაც თქვენ დაინახავთ საჭიროდო. ეს წინადადება განიხილა ელჩთა ლონდონის კონფერენციამ და აღიარა მისი განხორციელების სიძნელე, რადგან, ჯერ ერთი რომ ომის განახლების წინ ოსმალეთმა არ

დაიჯერა სახელმწიფოების რჩევა და მეორეც ისა, რომ მოკავშირეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, ზავი ომის ველზე ჩამოაგდონ.

# ბალკანეთი და ევროპა

## დეპეშები.

1, 2 და 3 თებერვალი.

**ვენა.** „კორესპონდენც-ბიურო“ იუწყება: „ნეის-ვინერ-ტაგებლატი“-ს წერილში აღნიშნულია, რომ ფრანციოსების წერილს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ღირებულებას აწერენ მმართველი წრეებიო. გოგენლოეს მისიით კმაყოფილნი არიან. შეთანხმებული ნოქმედება რუსეთისა და ავსტრია-ჰუნგრეთისა უზრუნველ-ყოფილია. იმედია, დიდი სახელმწიფონი ერთსულოვნებას არ დაარღვენო.

**ლონდონი.** რეიტერის ცნობით, ელჩთა თათბირს მსჯელობა ჰქონდა ოსმალეთის წინადადების თაობაზე დიდ სახელმწიფოთა ჩარევის შესახებ. პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, წინადადების საპასუხოდ დიდი სახელმწიფონი მოითხოვენ მიიღოს პორტამ დიდ სახელმწიფოთა ნოტის ყველა მუხლი. რომელიც ქიამილ-ფაშას ჰქონდა წარდგენილიო.

**ბერლინი.** ხმები დადის, ბულგარეთი თანახმაა აასრულოს სახელმწიფოთა მოთხოვნილება და ზომები მიიღოს ადრიანოპოლში მცხოვრებ უცხოელთა დასაცავადაო.

**სოფია.** მთავრობა არსებითად დაეთანხმა ელჩთა შუამდგომლობას, უზრუნველ ყოფილი იყოს ადრიანოპოლში მოსახლე უცხოელნიო და მთავარ შტაბთან ერთად შეუდგა ზომების გამოძებნას.

**ბერლინი.** „ნორდ-დეიტშე-ალგემეინე-ცეიტუნგი“ სწერს: ალბანეთის საზღვართა საკითხის სიძნელე პრესამ გააზვიადაო. მართალია, ევროპის თანხმობა ყველა მუხლებში არ ჰსუფევს, მაგრამ ამისთვის მუშაობა სწარმოებს.

**სოფია.** ელჩებს და უცხოელ ქვეშევრდომთ ნება ეძლევათ მიატოვონ ადრიანოპოლი. ბულგარეთის მთავრობას უნდა წარედგინოს უცხოელთა სია.

**ათინა.** პეტერბურგში წავიდა ახლად დანიშნული ელჩი მარკიზ კარლოში.

**პრაგა.** „ნაროდნი-ლისტ“-ში მოთავსებულია ცნობა ლვოვის პრესის ბიუროსი და პოლონელთა გაერთიანებულ პარტიათა კომისიისა. მათის აზრით რუსეთი დამარცხდება საერთა შორისო ომში, ეს პოლონელებისთვის ფრიად სასარგებლო იქნება იმ შემთხვევაში, თუ პოლონელები ავსტრიას გვერდში ამოუდგებიან. რუსეთის პოლონეთში ფრიად მომწიფებული და დამკვიდრებულია ის აზრი, რომ საჭიროა ავსტრიასთან ერთად საბრძოველად მოემზადოს. ამისთვის პრაპაგანდასაც კი ეწევიან.

# დეპეშები

(დ პეშათა პეტერბ. სააგენტო)

1, 2 და 3 თებერვალი.

## საზღვარ-გარედ

**ვაშინგტონი.** ტაფტმა „ვეტო“ დაადო კანონ-პროექტს, რომლითაც ემიგრანტებს ეკრძალებათ ამერიკაში მისვლა.

**სანაა** (არაბეთი). ზანგებმა კატაბეგი, ინგლისის ადენის საზღვარზე, მოჰკლეს ვიცე-გუბერნატორი და რამდენიმე მოხელე. აჯანყება საბაჟო სადგურების დაარსებამ გამოიწვ[ია].

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოს უკანასკნელი სხდომა მოხდა ფალიერის თავმჯდომარეობით. ბრიანმა ფალიერს უღრმესი მადლობა გადაუხადა ნაყოფიერ მოღვაწეობისთვის. ფალიერმაც თავის მხრივ მადლობა გადაუხადა ბრიანს.

**მექსიკო.** მადერომ გადადგომაზე უარი განაცხადა. სენატისთვის განუცხადებია: სიკვდილი უფრო ადვილია ჩემთვის, ვიდრე თანამდებობიდან გადადგომაო.

## რუსეთი.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს გაზეთი „ვეჩერნეე ვრემია“.

**მოსკოვი.** მონღოლეთის საელჩოს წევრები ჩამოვიდნენ.

**ოდესა.** გარდაიცვალა ხერსონის და ოდესის არხიეპისკოპოსი დიმიტრი.

**პეტერბურგი.** საკრედიტო საზოგადოების წარმომადგენელთა კრება გათავდა.

# რუსეთი

## სახალხო განათლების მინისტრის ახალი კანონ-პროექტი.

როგორც „დენი“ გვატყობინებს, სახალხო განათლების მინისტრმა ახალი კანონ-პროექტი შეიმუშავა. კასოს აუცილებლად მიაჩნია დაარსოს სკოლის გარეშე სასტიკი ზედამხედველობა. კანონ-პროექტი ავალებს ყოველ საშუალო სასწავლებელს იყოლიოს ინსპექტორები, რომელთა მოვალეობაც იქნება დაიაროს მოსწავლეთა ბინები, თვალყური ადევნოს მოწაფეთა ყოფაქცევას სკოლის გარეშე და სხვა. მოვალეობის შესამსუბუქებლად ინსპექტორებს შეუძლიანთ თანაშემწეებად აიყვანონ დაბალ კლასების მასწავლებლები და უფროსი კლასების მოსწავლენი.

კვირა-უქმეობით მოსწავლეები აუცილებლივ უნდა იმყოფებოდნენ სასწავლებლებში, სადაც გამართული იქმნება კითხვები და სხვა გასართობები. კანონ-პროექტის მიხედვით საჭიროა ზედამხედველობა დაარსდეს აგრეთვე იმაზე, თუ რა წიგნებს კითხულობს მოზარდი თაობა. სასწავლებლის ბიბლიოთეკებში ბევრი წიგნი უნდა მოისპოს, რადგანაც მოსწავლეზე ცუდი გავლენა აქვთო.

# უცხოეთი

## ლოიდ-ჯორჯის აგრარული პროგრამა.

„დეილი ნიუსი“ იტყობინება ლოიდ-ჯორჯის აგრარულ პროგრამის შინაარსს: პროგრამის პირველი პუნქტები განსაკუთრებით სოფლის მუშებს ეხება—მათში ჩამოთვლილია მინიმუმი მუშათა ხელფასისა და მათ მიერ მიწების შეძენის უფლებანი. ორივე დებულება დიდად აღელვებს ფერმერებს, მაგრამ პროგრამაში არის ისეთი მუხლებიც, რომელსაც გათვალისწინებული აქვს ასეთი უკმაყოფილება. ფერმერებისთვის პროგრამით განზრახულია: საიჯარო გადასახადის მოწესრიგება, გაუმჯობესება საიჯარო ხელშეკრულების პირობებისა და სამელიორაციოდ გაწეულ ხარჯის ანაზღაურება. „დეილი ნიუსის“ ცნობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პრესაში. „ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ეს რადიკალურ სამინისტროს მარცხენა ფრთის პროგრამაა და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამავე პროგრამის მიზეზით სამინისტროში უთანხმოება ჩამოვარდაო. დანარჩენი გაზეთები კიდევ უფრო შორს მიდიან; მაგ. „ბირმინჰამ დეილი-პოსტი“ კვლავ იმეორებს არა ერთხელ გავრცელებულ ხმას, თითქოს ასკვიტს გადადგომის განზრახვა ჰქონდეს. მისი გადადგომის მიზეზად იმ გარემოებას ასახელებენ, რომ სამინისტრომ ლიბერალურ გზიდან სოციალურ რეფორმების განხორციელებისკენ გადაუხვიაო. ასკვიტი მანამდე დარჩება პირველ მინისტრად, სანამ ირლანდიის ჰომრულის არ განახორციელებს, რის შემდეგაც მისი თავმოყვარეობა სრულიად დაკმაყოფილებული იქნება და მაშინ კიდეც გადადგებაო.

**საარჩევნო რეფორმა ბელგიაში.**

ამას წინად ბელგიის დეპუტატთა პალატამ უარჰყო სოციალისტებისა და ლიბერალების წინადადება საარჩევნო რეფორმის შესახებ. ეს უარყოფა გამოიწვია მთავრობის ძალდატანებამ, რომელიც შედეგი იყო კლერიკალების პარტიის ზედგავლენისა, როდესაც მთავრობამ გამოაცხადა თვისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ პროექტისადმი, სოციალისტების მეთაურმა ვანდერველდემ ხმა მაღლა წაიკითხა ფრაქციის მანიფესტი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მთავრობა თვისი საქციელით აიძულებს მუშებს საერთო გაფიცვას მიმართონო. ამის შემდეგ დაიწყო კენჭის ყრა. ოპოზიციის ყოველი წინადადება უარყოფილ იქნა უმრავლესობისაგან, რის შემდეგაც სოციალისტებმა და ლიბერალება პალატაშივე გამართეს მანიფესტაცია ძახილით: „გაუმარჯოს საყოველთაო, თანასწორ საარჩევნო უფლებასო“; ასე გასინჯეთ წითელი დროშაც კიააფრიალეს პარლამენტში. ასე რომ საყოველთაო გაფიცვა აუცილებლად მიაჩნიათ თუმცა ზოგიერთ გაზეთს იმედი აქვს, რომ საქმეში მეფე ჩაერევა, რადგანაც მას არ მოსწონს სამინისტროს საქციელიო. ამბობენ, მეფე მოიწვევს ნამინისტრალთა საბჭოს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ზოგიერთი ლიბერალი. ამ თათბირზე გამოსძებნიან საკომპრომისო საშუალებას, რათა თავიდან აიცილონ არეულობა და საყოველთაო გაფიცვა, რომელსაც დიდი საიდუმლოებით ამზადებენ მუშათა ჯგუფების მეთაურები. გაზეთების ცნობით, ბელგიელმა მუშებმა დიდძალი ფული შეჰკრიბეს გაფიცვის მოსაწყობად, როგორც სამშობლოში, ისე მის გარედ. განზრახულია, გაფიცვის დროს ბავშვები საფრანგეთსა, ჰოლანდიასა და გერმანიაში გაგზავნონ იქაურ მუშათა ორგანიზაციების მზრუნველობით. საყოველთაო გაფიცვა, მუშათა ვარაუდით, ექვს კვირას გასტანს.

# თეატრი და ხელოვნება

**ავადმყოფობა ვალერიან გუნიასი.** როგორც გადმოგვცეს, მსახიობს და საზოგადო მოღვაწე ვალერიან ღლევანისძე გუნიას გადაუტანია მძიმე ავადმყოფობა (ფილტვების ნაწილის ანთება და პლევრიტი) და ამ ჟამად უკეთესად იმყოფება.

**ქართული თეატრი.** 17 თებერვალს ქართულ თეატრში გაიმართება **საბავშვო დილა** სამ განყოფილებად. პირველი განყოფილება: ორ მოქმედებიანი საბავშვო პიესა სოფლის ცხოვრებიდან „ობოლი“; მეორე განყ.—დივერტისმენტი: სიმღერა, ლექსები, მუსიკა, სახუმარო გასართობი, ცოცხალი სურათები. მესამე განყ.—პროექტორი—რჩეული სურათები, განმარტებით. დასაწყისი დილი 12 საათზე. ბილეთები (დაკლებული ფასით) იყიდება „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტი № 8) და თეატრის კასაში.

**ნაძალადევის თეატრი.** კვირას, 3 თებერვალს, ქ-ნ ჩიქოვანისა, ბ-ნთ კ. ყიფიანისა და სვიმონიძის მონაწილეობით წარმოადგინეს დ. ერისთავის ცნობ. დრ. „სამშობლო“.

ამ საღამოს წარმოდგენამ ნათლად დაანახვა საზოგადოებას და, მგონია, თვით მომქმედ პირთაც, რომ ადამიანი მხოლოდ შრომითა და ცდით მიახწევს მიზანს. უნდა ვსთქვათ, რომ ხსენებულ თეატრის სცენის მოყვარეთ ისტორიული პიესების დადგმა უფრო ეხერხებათ. დ. ყიფიანმა (სვ. ლიონიძე) დაკვირვებულის, გრძნობიერის და დარბაისლურის თამაშით, გრძნობა აუშალა მაყურებელთ.

ქ. ჩიქოვანი (ქეთევანი) და ბ. სვიმონიძე (ხიმშიაშვილი) ყველა მოქმედებებში ერთი მეორეზედ უკეთესები იყვნენ და საზოგადოებაც მხურვალე ტაშს უძღვნიდა.

შახ-აბასის როლში კარგი იყო ბ. სვანაძე, თუმცა ზოგჯერ ხმის სისუსტე ხელს უშლიდა. ქ. ქაჯაიას (ფაიხოში) არა უშავდა-რა.

არა ნაკლების სიმშვენიერით განახორციელეს თავისი როლები ბ-ნ კუდუხაშვილმა (დადიანი) და გოგაშვილმა (დიაკვანი). არა უშავდათ რა თათრების როლებში: კანდელაკს, ძაძამიას და გაბინაშვილს.

თეატრის დარბაზში მთვრალები ბევრნი იყვნენ და წესიერებას არღვევდნენ, საჭიროა ამას გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ასეთ მოვლენას. **მიშო.**

# წერ. რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო, ნება მომეცით თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო ჩემდარწმუნებულ სოხუმის ქართულ სკოლის მასწავლებელ-მოწაფეთა მაგიერ ქვემო მოხსენებულ პირთა, რომელთაც ჩვენს სკოლას შემოსწირეს შემდეგი ნივთები, თუ ფული: 1), კნეინა მარიამ დ. შერვაშიძისამ შემოსწირა: 1. თამარ მეფის დიდი სურათი, მშვენიერი ჩარჩოში გაწყობილი; წარსულ წლების „ნაკადული“ და აგრეთვე მდგომარე წელს გამოუწერა საყმაწვილო ჟურნალები—„ნაკადული“ და „ჯეჯილი“ 2), ქ-ნ ელენე ნიკოლოზის ასულმა ნადარეიშვილისამ ერთი თუმანი ფულად, 3), ქ-ბ. სალომე თეიმურაზის ასულმა ლოლუასამ ორი ვენური სკამი, 4), ქ-ბ. ლიზა კეთილაძისამ—თუჯის ღუმელი (ფეჩი), თორმეტ მანეთად ღირებული; 5), ქ-ბ. ოლღა დ. გომრიჩიძისამ—ფანჯარის ერთი „ზანავესკა“—ფარდა; 6), ქ-ბ. ნინო ალ. თურქიასამ—ერთი სტოლი; 7), ბატონმა ნოე ივანეს ძე ურუშაძემ—ორი სტოლი, თუმნად ღირებული და 8), ბ. მაქსიმე ესაკიამ წყვილი რკინის ფეხსაწმენდი.

სოხუმის ქართულ სკოლის გამგე

**ნიკო ჯანაშია**

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.


# განცხადებანი

№ 4711

სახე პუდრი

ფირმ მიულჰენსი

კოლონია 30 კაპ.

პარფიუმერია № 4711



Metцль 529935 529954

1021.


## მატარებელთა მიმოსვლა (ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო** № 8, საღ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ:** საფ № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: სახ.-საბ.** № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ

**ყარსიდან: სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9|10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში: სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 6[0], ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.**, № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** [№ 8]1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. [.] ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო** № 29 30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ.** № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п, საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, [ღ]ამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ, **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას მატარებლის ნომრები 3 და 4.


# ვეძებ გადიას

**11 თვის ბავშვისთვის.** ქართველს, ახალგაზრდას.

**მისამართი:** ოლღას ქუჩა, № 20, ბინა გოგნიაშვილისა. ნახვა შეიძლება ყოველ დროს. 94.

**ახლად გაიხსნა**

# სამშობიარო თავშესაფარი

## ე. ლ. არშანინისა და ს. ს. ხატიევისა

**ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება** სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟი და ყვავილის აცრა, საბებიო საქმე და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღება და აგრეთვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე სწარმოებს დილის 11—12 საათამდე. თავშესაფარის გამგე

**ექიმი ა. გ. ავეტისოვი.**

**ვაგზლის ქუჩა № 12, ბინა 3.** 1018

# ფეხსაცმელები

## თომა დ. ჯანყარაშვილის

**მაღაზია-სახელოსნოში.**

მუხრანის ქ. № 2.

ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ.



მეხანიკური ნაწარმოები. 30.

# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ა. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**პ. გ. ავახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ: ანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

**ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა** 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა[თ]ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის

1604 დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

მუხრანის კერძო

# სამკურნალო

## საწოლი კრაოტებით.

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.** დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

| ექიმების მიერ: | | **დილით:** | |
|---|---|---|---|
| შინაგანი სნეულებანი, და ბავშვთა მკურნალ. | **სპექტიორი გ. მ.** | $8^1/_2$—$9^1/_2$ | ს. |
| | **გაზაზოვი ა. ა.** | 10—11 | ს. |
| | **იაშვილი ა. ო.** | 11—12 | ს. |
| | **აბაკელია ი. კ.** | 12—1 | ს. |
| | **ლოლობერიძე გ. მ.** | $12^1/_2$—$1^1/_2$ | ს. |
| საქირურგიო, ქალთა სნეულებანი: | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 | ს. |
| | **მელკონიანი გ. ა.** | 12—1 | ს. |
| | **ჯაში ი. ი.** | $9^1/_2$—$10^1/_2$ | ს. |
| საშარდე-სასქესო და კანის სნეულებ. | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 | ს. |
| სნეულებ. საბებიო და საბავშვო. | **ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. ბ.** | 11—12 | ს. |
| | **ლოლობერიძე** | $12^1/_2$—$1^1/_2$ | ს. |
| ყურის, ყელის და ცხვ. სნეულებ. | **შტრეიხერი მ. ა.** | 12 $12^1/_2$ | ს. |
| ნერვის და ჭკუის სნეულებ. | **შაპელნიკოვი გ. ი.** | $1^1/_2$—$2^1/_2$ | ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“**, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

**სამკურნალო გოგირდის აბანო**

# „ფანტაზია“

ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე **ახლად შეკეთებული** მოწყობილება ყოველ მხრივ და წესიერად.

კომფორტი, ელექტრონული განათება გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29°/0 და 35° 0, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრ[ავლე] საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ [სნე]ულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები [და] კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შე ძინონ, ტელეფონი № 115. 1674

# ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება ჩვენი პოეტების პოემები და ლექსები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| აბაშიძე გრ. | ფ. 60 კ. | თამარიანი, გუგუნავასი | 50 „ |
| ბარათაშვილი ნ. | „ 40 „ | ორბელიანი ვახტ. | 60 „ |
| ბესიკი. სიტყვ.-კაზმ. საზ. გამ. | 1 მ.— | ორბელიანი გრ. რჩეული ლექს. | 20 „ |
| გურამიშვილი დ. „დავითიანი“ | 1 მ.— | სილოვანის ლექსები 1878—1894. | 50 „ |
| გურიელი მამია | 1 მ.— | ცისკარი. რუხაძის ლექსები | 25 „ |
| განდეგილის ლექსებ. | — 50 „ | შანშიაშვილი. შვების თავადი | 60 „ |
| დუტუ მეგრელი წ. I ლექსებ. | 70 „ | ჭავჭავაძე ალ. ლექსები | 30 „ |
| ერისთავი რაფ. წ. I | 1 მ.— | ჭავჭავაძე ილ. | 27 „ |
| ევდოშვილი, ლექსები და პოემები | 60 „ | წერეთელი აკაკი ტ. I | 1 მ.— |
| ვაჟა-ფშაველა | 1 მ.— | — — ტ. II | 1 მ.— |
| ვეფხის ტყაოსანი ქართველიშვილის გამოც. | 10 მ. 65 „ | — —ჩემი ნაწერ. ტ. I | |
| „ ქ. შ. წ. კ. ს. გამ. | 60 „ | — — იგავ-არაკნი | |

**ადრესი:** Тифлисъ О-ва распр. грамотности сред. гр. нас. 1114

მივიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა,

თევზის მრეწველნი

# ძმ. ძმველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

1131

გამოსული ქერჩის სელიოტკები, და ყოველგვარი

# კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თარო ი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

**შავი ხიზილალა**


ტფილისი მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“.